2024 წლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა

1. ბ;
2. ა;
3. დ;
4. გ;
5. დ;
6. დ;
7. ბ;
8. გ;
9. დ;
10. ბ;
11. გ;
12. დ;
13. ბ;
14. დ;
15. გ;
16. ა;
17. ბ;
18. ბ;
19. ა;
20. დ;
21. ა;
22. დ;

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

23. ჰიპოსტილი
24. პერიპტერი
25. ბაპტისტერიუმი
26. იმპრესიონისტული
27. ორნამენტი
28. უშებტი
29. პილონი

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

30. ჭეშმარიტია

31. ჭეშმარიტია

32. მცდარია: მეანდრა

33. მცდარია: ფუტურიზმი

34. მცდარია: ფერადი მცირე ზომის ბუნებრივი ან ხელოვნური ელემენტებისგან შედგენილი სხვადასხვაგვარი კომპოზიცია

35. ჭეშმარიტია

36. მცდარია: სეკო **ან** გლიპტიკის, გემის ნაირსახეობა; ქვა ან ნიჟარა, რომელზედაც ამოკვეთილია გამოსახულება

37. მცდარია: რენესანსის

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

38.

ღნიშვნები სურათზე / დავალების №	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ
38.1							X	
38.2	X							
38.3					X			
38.4		X						
38.5								X
38.6				X				

თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა

39.

შეფასების სქემა **მაქსიმალური ქულა 4**	
4 ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი სწორად მიაკუთვნებს სკულპტურას ძველ ბერძნულ გვიან კლასიკას (უთითებს ავტორს - სკოპასს, თუ არა არ მოეთხოვება), პერსონაჟი ასახულია მოქმედების კონკრეტულ მომენტში, ცეკვისას. ყურადღება გამახვილებულია ამ მოქმედებასთან დაკავშირებული განცდების გადმოცემაზე. ფიგურის მოქმედება სივრცეში რთულად იშლება. მოქმედებით ხაზგასმულია სივრცის სამივე განზომილება. მოქმედების მსგავსი გაშლის გამო ფიგურა მოითხოვს ყოველი მხრიდან დათვალიერებას - გარშემოვლას. სკოპასის მენადა გამოსახულია ცეკვის დროს, მისი სხეული რთულ სპირალურ მოძრაობაშია წარმოდგენილი; ფიგურა დამუშავებულია გულდასმით. ნაძერწია ყოველი დეტალი. ფორმათა გულდასმით დამუშავება შუქ-ჩრდილის მკვეთრ მონაცვლეობას იწვევს ქანდაკების ზედაპირზე, რაც ცხოველხატულ ეფექტს ქმნის. ფორმათა საზღვრები დამუშავებულია რბილად. ყველა ეს ნიშანი ახასიათებს როგორც ზოგადად გვიან კლასიკას, ასევე კონკრეტულად მოცემულ კომპოზიციას. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი.
3 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა. აპლიკანტი ახდენს მხატვრულ ეპოქასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა მისი მსჯელობა სრულყოფილი არ არის - იგი ყურადღებას ამახვილებს ნიმუშისა და ეპოქისათვის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე თავისებურებაზე, მსჯელობაში გარკვეული შეცდომები შეინიშნება. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული ეპოქის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილ ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს ქანდაკების დამახასიათებელ ყოველ თავისებურებაზე.
2 ქულა	აპლიკანტი ახდენს მხატვრულ ეპოქასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ საკითხს. აპლიკანტის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული ეპოქასთან იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს - ყურადღებას ამახვილებს ქანდაკების დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებაზე.
1 ქულა	აპლიკანტი ახდენს მხატვრულ ეპოქასთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის იდენტიფიცირებას, თუმცა ვერ ახერხებს საკითხის გაანალიზებას და მის მსჯელობაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. ***ან*** აპლიკანტი, მართალია, ვერ ახერხებს მხატვრული ეპოქის იდენტიფიცირებას, თუმცა მხატვრული ნაწარმოების ანალიზის უნარს ავლენს.
0 ქულა	პასუხი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხი ბუნდოვანია, აპლიკანტის მსჯელობაში არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებებია.

40.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომ საილუსტრაციოდ წარმოდგენილია პოსტმოდერნიზმის (ან/და ბიომორფული, დეკონსტრუქტივიზმი, ნეო-ფუტურიზმი) სტილის არქიტექტურის ნიმუში ასახელებს ავტორს - ზაჰა ჰადიდს, თუ არა არ მოეთხოვება). სტილისათვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს არქიტექტურის დენადი, ტალღოვანი, კონტრასტული ფორმა, რაშიც არქიტექტორის კონცეფცია იჩენს თავს - ზეცისკენ სწრაფვა და მიწასთან კვლავ, სიმშვიდით დაბრუნება, მინისა და თეთრი კარკასის საინტერესო სინთეზი, ტრადიციული გეომეტრიული სიმეტრიის რღვევა, მომრგვალებული ფორმები. და ა. შ. რომელიც წარმოდგენილი ნაგებობისთვის, ისე როგორც პოსტმოდერნიზმის მრავალფეროვნებისთვის არის დამახასიათებელი. XXI საუკუნის ნაგებობაა
3 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი სტილის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე და ჩამოთვლის ზოგიერთ თავისებურებას, თუმცა არგუმენტებით სრულყოფილად მოსაზრების გამყარებას ვერ ახერხებს.
2 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი სტილის ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, თუმცა მსჯელობის არგუმენტირებულად წარმართვა უჭირს.
1 ქულა	აპლიკანტი ასახელებს, რომელი სტილი ნიმუშია წარმოდგენილი ილუსტრაციაზე, ან აკეთებს ზოგად აღწერას.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

41.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტი ახასიათებს წარმოდგენილი ფერწერის ნიმუშებს, მსჯელობს მათ შორის არსებულ სტილურ განსხვავებაზე და გუსტავ კლიმტის შემოქმედებით ევოლუციას განსაზღვრავს - რეალისტურ ფორმაზე დაფუძნებული მხატვრული სახიდან, სადაც იმპრესიონისტული ინტერესები იჩენს თავს, სიმბოლიზმით გაჯერებულ არ-ნუვოს ოქროსფრის აქტიური გამოყენებით შექმნილ დეკორატიულ მხატვრულ სახეებზე, შუა საუკუნეების ხელოვნების ტენდენციებსაც რომ ითავსებს და ბოლოს, არ-ნუვოს განსხვავებული, აღმოსავლური (იაპონური, ორიენტალისტური) ხასიათით გაჯერებული მხატვრული სახეები, მსუბუქი და დეკორატიული, ფოვისტური ელემენტებით.
3 ქულა	აპლიკანტი ახერხებს იმსჯელოს მხატვრის ევოლუციაზე თუმცა უძნელდება საკითხის მკაფიოდ განსაზღვრა.
2 ქულა	აპლიკანტი ახერხებს დაახასიათოს მხატვრული ნიმუშები< თუმცა დამაჯერებელი დასკვნის გაკეთება უჭირს.
1 ქულა	აპლიკანტი ახერხებს აღწეროს კომპოზიციები, თუმცა დასკვნა ვერ გამოაქვს.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ ასრულებს დავალებას

42.

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 15 I პუნქტისათვის 5 ქულა II და III პუნქტისათვის 4 ქულა IV პუნქტისათვის 2 ქულა	
I 5 ქულა II III 4 ქულა IV 2ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული - პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებით და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
I 4 ქულა II III 3 ქულა	აპლიკანტი ხელოვნების ნიმუშების მეტ-ნაკლებად სრულ შედარებით ანალიზს აკეთებს. მსჯელობა არ არის სრულყოფილი და გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს.
I II III 2 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემასთან - აპლიკანტს ხელოვნების ნიმუშების შედარებითი ანალიზის გაკეთება უჭირს. პასუხი სუსტია და არათანმიმდევრული, თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
1 ქულა	აპლიკანტი ვერ ახერხებს მსჯელობის განვითარებას. მსჯელობს არათანმიმდევრულად, არაადეკვატურად და უშვებს მნიშვნელოვან შეცდომებს.
0 ქულა	დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და შედარებითი ანალიზის უნარი; პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაარგუმენტირებული და ბუნდოვანი განმარტებები.